შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრატეგია 2025-2030

დაბა შუახევი, რუსთაველის შესახვევი N5
info@shuakhevikids.ge
599 47 45 00
www.shuakhevikids.ge

სარჩევი

შესავალი 3

სტრატეგიის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები 4

სიტუაციის ანალიზი 5

- მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება 5
- ადრეული და სკოლამდელი განათლება 6
  - სტატისტიკური ინფორმაცია 6
- SWOT ანალიზი 8

სტრატეგიული გეგმა 9

- სტრატეგიული გეგმის კავშირი მისიასთან და ხედვასთან 9
- სტრატეგიული მიზნები და ამოცანები 10
  - სტრატეგიული მიზნების დასაბუთება 11
  - ამოცანების მოსალოდნელი შედეგები 12

შესავალი

კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების (შემდგომში ბაგა-ბაღების გაერთიანება) სტრატეგიის დოკუმენტი ასახავს გაერთიანების პრიორიტეტულ მიმართულებებსა და სამომავლო გეგმებს, რომლებიც ეფუძნება არსებული მდგომარეობის დეტალურ ანალიზს, კანონმდებლობის მოთხოვნებს, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტანდარტსა და გაერთიანების შესაძლებლობებს. დოკუმენტი მიმართულია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა კეთილდღეობის, მათი ჰარმონიული განვითარების, სააღმზრდელო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისა და ბავშვებზე ორიენტირებული, ინკლუზიური გარემოს შექმნისკენ.

დოკუმენტის მომზადების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები, მათ შორის: შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების ადმინისტრაცია და სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები, აღმზრდელები და დამხმარე პერსონალი და მშობლები.

სამუშაო შეხვედრებისა და ერთობლივი მსჯელობის შედეგად განხორციელდა SWOT-ანალიზი, რომელმაც გამოავლინა დაწესებულების ძლიერი მხარეები, არსებული გამოწვევები, შესაძლებლობები და მოსალოდნელი საფრთხეები. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა ბაგა-ბაღების გაერთიანებისა და მისი სტრუქტურული ერთეულების განვითარების მიზნები და კონკრეტული ამოცანები, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის შემდგომ განვითარებას შუახევის მუნიციპალიტეტში.

დოკუმენტი ითვალისწინებს მონაწილე მხარეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, რეკომენდაციებსა და უკუკავშირს. სტრატეგიული მიზნების მიღწევასა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას უზრუნველყოფს ბაგა-ბაღების გაერთიანების ადმინისტრაცია, რომელსაც კანონმდებლობითა და წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში შეუძლია საკუთრივ განკარგოს აქტივები, განახორციელოს შესყიდვები, გააფორმოს ხელშეკრულებები და აგრეთვე წარმართოს სამართლებრივი ურთიერთობები მესამე პირებთან.

შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების მიზანია ბაგა-ბაღების გაერთიანების მიზანია ხელი შეუწყოს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალურ აღზრდას, მათ ჰარმონიულ განვითარებას და სკოლისათვის მომზადებას; ბავშვთა აზროვნების, ემოციური სამყაროს და ნებისყოფის ფორმირებას; მათ ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას, სხვისი აზრისა და საერთო ღირებულებებისადმი პატივისცემის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. ბაგა-ბაღების გაერთიანება ოჯახთან ურთიერთკავშირში ზრუნავს ბავშვის სრულფასოვან განვითარებაზე, ვალდებულია დაიცვას ბავშვი ნებისმიერი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზემოქმედებისაგან, დაიცვას მისი უფლებები, ხელი შეუწყოს ბავშვის შემოქმედებითი შესაძლებლობებისა და ინტერესების განვითარებას.

ბაგა-ბაღების გაერთიანება ანგარიშვალდებულია შუახევის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე, დამოუკიდებლად ახორციელებს ფინანსურ მართვას, აქვს საკუთარი ბალანსი, საბანკო ანგარიში და დამოუკიდებელი სამართლებრივი სტატუსი. გაერთიანების იურიდიული მისამართია: დაბა შუახევი, რუსთაველის შესახვევი N5.

სტრატეგიის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

შუახევის ბაგა-ბაღების სტრატეგიის შემუშავების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემდეგი სამართლებრივი აქტები და რეგულაციები:

1. საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის ძირითად პრინციპებს, მიზნებს, ამოცანებს და სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებებს;
2. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები, რომლებიც ადგენს ერთიან სახელმწიფო მოთხოვნებს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდისა და განვითარების ხარისხის მიმართ და წარმოადგენს სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბების ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს;
3. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები, რომელთა საფუძველზე რეგულირდება სკოლამდელი დაწესებულებების საქმიანობის ხარისხის შეფასება, უზრუნველყოფა და მონიტორინგი, და რომელიც წარმოადგენს სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების ხარისხობრივი კრიტერიუმების საფუძველს.

გარდა ამისა, შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრატეგია სრულ შესაბამისობაშია შუახევის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტთან (2024-2027), რაც უზრუნველყოფს ერთიანი ხედვის, ურთიერთშეთანხმებული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას ადგილობრივი განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით.

აღნიშნული სამართლებრივი დოკუმენტები უზრუნველყოფს სტრატეგიის შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან და უზრუნველყოფს მისი განხორციელების ლეგიტიმურობასა და ეფექტიანობას.

სიტუაციის ანალიზი

მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება

შუახევის მუნიციპალიტეტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტია. მისი ფართობია 588 კვ.კმ, ადმინისტრაციული ცენტრია დაბა შუახევი, სადაც ცხოვრობს დაახლოებით 1000 ადამიანი. მუნიციპალიტეტი მოიცავს 1 დაბასა და 54 სოფელს.

მუნიციპალიტეტის კლიმატი ზომიერად ნოტიო, სუბტროპიკულია, სადაც საშუალო წლიური ტემპერატურა 9°C-ს აღწევს, ხოლო ნალექების რაოდენობა 1050-1800 მმ-ია წელიწადში.

ბუნებრივი გარემო და კლიმატური პირობები ხელსაყრელია სკოლამდელი ასაკის ბავშვების ფიზიკური ჯანმრთელობისთვის, ხოლო მდიდარი ბიომრავალფეროვნება და ტყის საფარი (მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 60%-ზე მეტი) ქმნის კარგ შესაძლებლობას ეკოლოგიური ცნობიერებისა და გარემოსთან ჰარმონიული დამოკიდებულების განვითარებისათვის.

მოსახლეობის რაოდენობა 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 14,8 ათას ადამიანს შეადგენს, საიდანაც 52% მამაკაცია, ხოლო 48% - ქალი1. მოსახლეობის საშუალო ასაკი კაცების შემთხვევაში 33 წელია, ქალების შემთხვევაში კი - 38[1] წელი. ბოლო 10 წლის განმავლობაში მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვან ცვლილებას არ განიცდის, თუმცა შემცირების ტენდენციას მიგრაციის პროცესების გააქტიურებამ შეუწყო ხელი.

ათწლეულის განმავლობაში შეიმჩნევა შობადობის მაჩვენებლის კლება და საბავშვო ბაღებში ჩარიცხულ აღსაზრდელთა რაოდენობის შემცირება.

საარსებო შემწეობის მისაღებად სოციალური მომსახურების სააგენტოში დარეგისტრირებულია 11 739 ფიზიკური პირი, 3020 ოჯახი (აქედან საარსებო შემწეობის მიმღები არის 832 ოჯახი, 2 854 პირი). მარტოხელა მშობლის სტატუსი აქვს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 33 პირს, რომელთაგან 27 მარტოხელა დედაა, ხოლო 5 - მარტოხელა მამა. 2023 წლისთვის 59 მრავალშვილიანი ოჯახია, ეს მონაცემი წინა წლებთან შედარებით მცირედით არის გაზრდილი. 2019 წლიდან შუახევში შშმ პირთა დღის ცენტრი ფუნქციონირებს, რომელიც „იმედი ჰანდიკაპთან“ პარტნიორობით გაიხსნა, შშმ პირებისთვის ადაპტირებული მიკროავტობუსითა და სხვადასხვა სახის რესურსებით აღიჭურვა. ცენტრში ამ ეტაპზე 0-18 წლამდე 15 ბენეფიციარი ირიცხება. ცენტრში დასაქმებულია 13 ადამიანი. დღის ცენტრი უზრუნველყოფს ბენეფიციარების ტრანსპორტირებას და ორჯერად კვებას. დღის განმავლობაში ბენეფიციარები ჩართულნი არიან სხვადასხვა აქტივობებში, მათ შორის უნარ-ჩვევების განმავითარებელ აქტივობებში, როგორც ინდივიდუალურად, ისე

[1] წყარო: საქსტატი

ჯგუფურად. ბენეფიციართან მუშაობენ სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტები, როგორიცაა ოკუპაციური თერაპია, მეტყველების თერაპია და სხვ.[2]

ადრეული და სკოლამდელი განათლება

შუახევის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი ასაკის 465 ბავშვია (გოგო 193 და ბიჭი 204), მათ შორის 25 ბაგის, ხოლო 440 ბაღის აღსაზრდელია), მოქმედებს 14 სკოლამდელი ბაგა-ბაღი, 9 ალტერნატიული ბაღი, რომელშიც დასაქმებულია 39 პედაგოგი (მათ შორის 24 უმაღლესი განათლებით) და 14 ფსიქოლოგი (მათ შორის 1 უმაღლესი განათლებით). ა(ა)იპ შუახევის ბაგაბაღების გაერთიანების ადმინისტრაციაში დასაქმებულია 10 თანამშრომელი. ბაგა-ბაღების გაერთიანება წლიურად ფინანსდება 1551460 ლარით, ამ თანხიდან 295 ათასი ლარი გამიზნულია ბავშვთა კვებით უზრუნველყოფაზე. 2023 წლისათვის გაიხსნა დღვანის ბაგა-ბაღი 25 აღსაზრდელზე. უახლოეს პერიოდში დაგეგმილია ნენიის საბავშვო ბაღის მშენებლობა 25 ბავშვზე. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა (14 საბავშვო ბაღი და 9 ალტერნატიული ბაღი) ზოგადი ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით ნაწილობრივ დამაკმაყოფილებელია, მხოლოდ ახლად აშენებულ და დაბის ტერიტორიაზე არსებული ბაღებია აღჭურვილი ახალი ინვენტარით. თუმცა, ყველა სოფელს არ აქვს საშუალება ისარგებლოს საბავშვო ბაღების მომსახურებით.

სტატისტიკური ინფორმაცია

სურათი 1. შუახევის ბაგა-ბაღებში ჩარიცხული ბავშვები 2018 წლიდან 2025 წლამდე[3]



[2] შუახევის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2024-2027)
[3] წყარო: საქსტატი (სახელმწიფო ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულებების მაჩვენებლები (2024/2025 სასწავლო წელი)

სურათი 2. შუახევის მუნიციპალიტეტში არსებული ბაგა-ბაღების რაოდენობა 2018 წლიდან 2025 წლამდე[4]



სურათი 3. შუახევის ბაგა-ბაღების სტრუქტურული ერთეულების საგანმანათლებლო პერსონალის რაოდენობა 2020 წლიდან 2025 წლამდე[5]



შენიშვნა: აღმზრდელ-პედაგოგი/ აღმზრდელი/აღმზრდელის თანაშემწე/ინკლუზიური განათლების სპეც. პედაგოგი

[4] წყარო: საქსტატი (სახელმწიფო ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულებების მაჩვენებლები (2024/2025 სასწავლო წელი)
[5] წყარო: საქსტატი (სახელმწიფო ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულებების მაჩვენებლები (2024/2025 სასწავლო წელი)

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში გამოიყენება დამტკიცებული კურიკულუმი „თამაში“, რომელიც ეფუძნება თამაშზე ორიენტირებულ მიდგომას და ეროვნული სტანდარტების მოთხოვნებს. • გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში გამოიყენება დამტკიცებული სასკოლო მზაობის პროგრამა. • მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ალტერნატიული სააღმზრდელო დაწესებულებები. • საპილოტე ბაღებში კურიკულუმი ხარისხიანად ხორციელდება, გარემო დაყოფილია თემატურ ცენტრებად და უზრუნველყოფს ბავშვზე ორიენტირებულ მიდგომას. • აღმზრდელების ნაწილი გადამზადებულია (66 საათიანი ტრენინგი), რაც უწყობს ხელს ერთიანი სტანდარტის დაცვას. • ბავშვების შეფასება ხდება ობიექტური დაკვირვების საფუძველზე. • საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურა უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს აკმაყოფილებს. • ხელმისაწვდომია საკმარისი საგანმანათლებლო რესურსები: წიგნები, სათამაშოები, საკანცელარიო მასალა. • არსებობს ბაღის გარე სივრცეები და ეზოში თამაში სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის განუყოფელი ნაწილია.	• მშობელთა ჩართულობა დაბალია, განსაკუთრებით მამების. • ნაწილობრივ ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი პერსონალი (სპეც. პედაგოგი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი). • მულტიდისციპლინური გუნდები უმეტეს ბაღში არ ფუნქციონირებს. • ინკლუზიური განათლების საკითხებში აღმზრდელების უმრავლესობას გადამზადება არ აქვს გავლილი. • არ არსებობს ბავშვების ინდივიდუალური განვითარების გეგმები. • არ არის შემუშავებული ძალადობის პრევენციის დოკუმენტირებული პოლიტიკა. • სპეციალისტების ნაკლებობის გამო საჭიროების მქონე ბავშვები ვერ იღებენ სრულფასოვან მხარდაჭერას. • შიდა და გარე ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები არ ფუნქციონირებს. • არსებობს ინფრასტრუქტურული პრობლემები (ლიფტის არქონა, მოუწყობელი ეზოები). • ბაღების საქმიანობაში მუსიკის მასწავლებლების როლი არ არის სისტემატური და კურიკულუმთან სრულად თავსებადი. • მედიკამენტების მიღების პროცედურა ბაღებში არ არსებობს.

• დანერგილია ბავშვების ჩარიცხვის ელექტრონული სისტემა.	
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
• დაგეგმილია აღმზრდელების გადამზადება ინკლუზიური განათლების მიმართულებით. • სტრატეგია შეესაბამება შუახევის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტს (2024–2027), რაც ხელს უწყობს ადგილობრივი მხარდაჭერის მობილიზებას. • ბუნებრივი გარემო და კლიმატი ხელსაყრელია მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსების საგანმანათლებლო მიზნების გამოყენებისთვის. • შესაძლოა მოხდეს თემის რესურსების (სკოლა, ბიბლიოთეკა, სამედიცინო დაწესებულებები) მეტად გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში. • გაიზარდოს თანამშრომლობა დონორ ორგანიზაციებთან და პროგრამებთან (ფინანსური, საკონსულტაციო და მატერიალური მხარდაჭერა).	• მიგრაცია და დაბალი შობადობა წარმოადგენს მომავალი ბაღის ჯგუფების ფორმირების რისკს. • რთული მეტეოროლოგიური პირობები ქმნის სეზონურად ბაღების შუფერხებლად ფუნქციონირების საფრთხეს. • მშობლების დაბალი ცნობიერება ქმნის ბავშვზე ორიენტირებული მიდგომების სრულად დანერგვის საფრთხეს.

სტრატეგიული გეგმა

სტრატეგიული გეგმის კავშირი მისიასთან და ხედვასთან

სტრატეგიული მიზნები და ამოცანები დაფუძნებულია ბაგა-ბაღების გაერთიანების არსებული მდგომარეობის ანალიზზე, მათ შორის განხორციელებულ SWOT ანალიზსა და ადგილობრივი კონტექსტის დეტალურ შეფასებაზე. ისინი ასახავს გაერთიანების პრიორიტეტებს და სრულ თანხვედრაშია მისიისა და ხედვის ძირითად მიმართულებებთან.

მისიის თანახმად, ბაგა-ბაღების გაერთიანება მიზნად ისახავს უსაფრთხო, მზრუნველ და მასტიმულირებელ გარემოში თითოეული ბავშვის ინდივიდუალური განვითარების მხარდაჭერას. შესაბამისად, სტრატეგიული მიზნები ორიენტირებულია თამაშზე დაფუძნებული, ინკლუზიური და ბავშვზე მორგებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნაზე, პროფესიული პერსონალის განვითარებასა და თემთან მჭიდრო პარტნიორობაზე.

ხედვა – გახდეს თანამედროვე, ინკლუზიური და პარტნიორობაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო სივრცე – პირდაპირ ეხმიანება მიზნებს, რომლებიც ითვალისწინებს ინფრასტრუქტურის განახლებას, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, თემისა და ოჯახის აქტიურ ჩართულობას. სტრატეგიული მიზნები სწორედ ამ ხედვის განხორციელების გზას წარმოაჩენს და ქმნის საფუძველს ბაღების სისტემური განვითარებისათვის.

სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

🎯 სტრატეგიული მიზანი 1: ბავშვზე ორიენტირებული და ინკლუზიური სასწავლო გარემოს განვითარება

ამოცანები:
1.1. თამაშზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის სრულად დანერგვა და ადაპტაცია ასაკობრივ და ინდივიდუალურ საჭიროებებზე.
1.2. ინკლუზიური განათლების პრინციპების ინტეგრირება სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესში.
1.3. ფიზიკური და ემოციური დაცულობის უზრუნველყოფა.
1.4. ბავშვების შეფასების მეთოდებისა და შეფასების გაზიარების სისტემის გაუმჯობესება.

🎯 სტრატეგიული მიზანი 2: პერსონალის პროფესიული განვითარება და მხარდაჭერა

ამოცანები:
2.1. აღმზრდელებისა და ადმინისტრაციის გადამზადება კურიკულუმში, ინკლუზიაში და ძალადობის პრევენციაში.
2.2. პროფესიული განვითარების შიდა მექანიზმისა და ცოდნის გაზიარების კულტურის გაძლიერება.
2.3. მოტივაციის, კარიერული ზრდისა და თანამშრომელთა მხარდაჭერის მექანიზმების დანერგვა.

🎯 სტრატეგიული მიზანი 3: მშობლებთან და თემთან პარტნიორობის გაძლიერება

ამოცანები:
3.1. მშობელთა ჩართულობის დონის ამაღლება საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესში.
3.2. თემში არსებული რესურსების საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრირების განვითარება.
3.3. მშობელთა საკონსულტაციო საბჭოების ეფექტიანობის გაზრდა.
3.4. ხარისხიანი ადრეული ინკლუზიური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

🎯 სტრატეგიული მიზანი 4: ფიზიკური და საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესება

ამოცანები:
4.1. შიდა და გარე ინფრასტრუქტურის განახლება და ადაპტაცია სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის.
4.2. საგანმანათლებლო რესურსების გამრავალფეროვნება და ხელმისაწვდომობის გაზრდა ყველა ბაღში.
4.3. ეზოების მოწყობა თამაშისა და აქტიური სწავლისთვის საჭირო პირობების შესაქმნელად.
4.4. ალტერნატიული ბაღების გაძლიერება და სერვისის ხელმისაწვდომობის გაზრდა მიუწვდომელ სოფლებში.

სტრატეგიული მიზნების დასაბუთება

სტრატეგიული მიზნები	**მიზნების დასაბუთება**
1. ბავშვზე ორიენტირებული და ინკლუზიური სასწავლო გარემოს განვითარება	მიზანი პასუხობს ბაგა-ბაღების მისიის ბირთვს – ბავშვის კეთილდღეობასა და ინდივიდუალურ განვითარებაზე ზრუნვას. მიზნის მიღწევა შესაძლებელს გახდის თითოეული ბავშვის საჭიროებებზე მორგებულ, უსაფრთხო და მხარდაჭერილ გარემოში სწავლისა და თამაშის შესაძლებლობის უზრუნველყოფას. არსებული გამოწვევების (სპეციალისტების ნაკლებობა, ინდ. გეგმების არქონა, შეფასების სქემების არაერთგვაროვნება) გათვალისწინებით, მიზანი ითვალისწინებს როგორც თამაშზე დაფუძნებული სწავლების ხარისხის ამაღლებას, ისე ინკლუზიური პრაქტიკის გაძლიერებასა და შეფასების სისტემის გაუმჯობესებას.

2. პერსონალის პროფესიული განვითარება და მხარდაჭერა	აღზრდისა და განათლების ხარისხი პირდაპირ არის დაკავშირებული პედაგოგიური პერსონალის კომპეტენციასა და მოტივაციასთან. სტრატეგიული მიზანი მიზნად ისახავს იმ პრობლემის გადაჭრას, რომ ბაღების ნაწილში აღმზრდელებს არ აქვთ საკმარისი გადამზადება ინკლუზიურ განათლებაში და ხშირ შემთხვევაში არ არსებობს სისტემური მიდგომა პროფესიული ზრდის მიმართ. ამ მიზნის ფარგლებში გათვალისწინებულია როგორც ტრენინგებისა და გადამზადების უზრუნველყოფა, ასევე შიდა სწავლისა და კოლეგიალური მხარდაჭერის კულტურის ჩამოყალიბება, რაც აძლიერებს პროფესიონალიზმისა და უწყვეტი განვითარების ღირებულებას.
3. მშობლებთან და თემთან პარტნიორობის გაძლიერება	ბაგა-ბაღების ხედვის ერთ-ერთი საკვანძო კომპონენტია ძლიერი კავშირი ოჯახსა და თემთან. მშობელთა ჩართულობა ამჟამად დაბალია, განსაკუთრებით მამების, ხოლო თემური რესურსები საკმარისად არ არის ინტეგრირებული სასწავლო პროცესში. ეს მიზანი ემსახურება ჩართულობის ზრდას, საკონსულტაციო მექანიზმების გაძლიერებას და ცნობიერების ამაღლებას ადრეული განათლების მნიშვნელობაზე. ამით ბაღები ხდებიან არა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებები, არამედ თემის აქტიური მონაწილეები.
4. ფიზიკური და საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესება	სწავლა და განვითარება შეუძლებელია უსაფრთხო და სტიმულირებადი გარემოს გარეშე. ბაღების ნაწილს სჭირდება ინფრასტრუქტურის განახლება, ეზოები მოუწყობელია, და არ არის საკმარისი ადაპტაცია შშმ ბავშვებისთვის. მიზანი ეხმიანება ხედვაში გაცხადებულ განახლებასა და თანამედროვებაზე ორიენტირებულ მიდგომას და მიზნად ისახავს როგორც გარემოს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას, ისე ალტერნატიული ბაღების გაძლიერებას მიუწვდომელ სოფლებში.

ამოცანების მოსალოდნელი შედეგები

ამოცანები	**მოსალოდნელი შედეგები**
1.1. თამაშზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის სრულად დანერგვა და ადაპტაცია ასაკობრივ და ინდივიდუალურ საჭიროებებზე.	• ყველა ბაღში სასწავლო პროცესი იქნება ორგანიზებული მცირე ჯგუფებში მუშაობის პრინციპის გათვალისწინებით, თემისა და პროექტის მონაცვლეობით, ბავშვზე მორგებული აქტივობებით. • გაიზრდება ბავშვების ჩართულობა, მოტივაცია და დამოუკიდებლობა ყოველდღიურ საქმიანობაში. • მინიმუმ 80% აღმზრდელის მიერ დაგეგმილი აქტივობები იქნება მორგებული ასაკობრივ და ინდივიდუალურ საჭიროებებზე.

	• საბავშვო ბაღების 100%-ში გამოყენებული იქნება დამტკიცებული თამაშზე დაფუძნებული კურიკულუმი.
1.2. ინკლუზიური განათლების პრინციპების ინტეგრირება სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესში.	• ინკლუზიური პრაქტიკები იქნება ინტეგრირებული ყველა ბაღის ყოველდღიურ საქმიანობაში. • ყველა საჭიროების მქონე ბავშვისთვის შემუშავებული იქნება ინდივიდუალური განვითარების გეგმა ან მასზე მორგებული ინდივიდუალიზაცია. • ბაღების 80%-ში იფუნქციონირებს ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი გუნდი (სპეც. პედაგოგი, ლოგოპედი, ფსიქოლოგი). • გაიზრდება საჭიროების მქონე ბავშვების ჩართულობის ხარისხი საერთო აქტივობებში.
1.3. ფიზიკური და ემოციური დაცულობის უზრუნველყოფა.	• ყველა ბაღში უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტები და ბავშვზე ორიენტირებული სივრცე. • პერსონალი გადამზადებული იქნება ძალადობის პრევენციის, ბავშვის ემოციური მხარდაჭერის და პოზიტიური დისციპლინის მიმართულებით. • ძალადობის პრევენციის პოლიტიკა იმოქმედებს ბაღების მინიმუმ 80%-ში. • შემცირდება კონფლიქტური ან სტრესული სიტუაციების რაოდენობა ბავშვებსა და პერსონალს შორის.
1.4. ბავშვების შეფასების მეთოდებისა და შეფასების გაზიარების სისტემის გაუმჯობესება.	• ბავშვების შეფასება იქნება სისტემური, ობიექტურ დაკვირვებაზე დაფუძნებული და დოკუმენტირებული ყველა ბაღში. • ყველა ბაღში რეგულარულად წარმოიქმნება ინდივიდუალური პორტფოლიოები ბავშვის პროგრესის ასახვით. • მშობლების 70%-ზე მეტი მიიღებს უკუკავშირს ბავშვის განვითარებაზე წელიწადში მინიმუმ 2-ჯერ. • შეფასების შედეგები გამოიყენება აღმზრდელების მიერ ინდივიდუალური მიდგომების დაგეგმვისას.
2.1. აღმზრდელებისა და ადმინისტრაციის გადამზადება კურიკულუმში, ინკლუზიაში და ძალადობის პრევენციაში.	• ყველა აღმზრდელი გაივლის ტრენინგს კურიკულუმის გამოყენებასა და თამაშზე დაფუძნებულ მიდგომებში. • ყველა საბავშვო ბაღში მინიმუმ ერთი წარმომადგენელი გადამზადებული იქნება ინკლუზიური განათლების საკითხებში. • ბაღების ადმინისტრაციის 90%-ზე მეტი ჩაერთვება ძალადობის პრევენციის საკითხებზე ტრენინგში.

	• პერსონალი უკეთესად გამოიყენებს ინდივიდუალური მიდგომების დაგეგმვას და ძალადობის პრევენციის სტრატეგიებს.
2.2. პროფესიული განვითარების შიდა მექანიზმისა და ცოდნის გაზიარების კულტურის გაძლიერება.	• ბაღებში დანერგილი იქნება რეგულარული შიდა პროფესიული შეხვედრების (ქეისების გაზიარება, ყოველთვიური შეხვედრები) პრაქტიკა. • თანამშრომლები ერთმანეთს უზიარებენ წარმატებულ პრაქტიკებს, რაც აისახება ხარისხის გაუმჯობესებაში. • ყოველ ბაღში თვეში ერთხელ ტარდება პროფესიული შეხვედრა ან შიდა ტრენინგი. • პერსონალის პროფესიული განვითარება აღიქმება უწყვეტი პროცესის ნაწილად და მენეჯმენტის ერთ-ერთ პრიორიტეტად.
2.3. მოტივაციის, კარიერული ზრდისა და თანამშრომელთა მხარდაჭერის მექანიზმების დანერგვა.	• დაინერგილი იქნება პერსონალის აღიარებისა და წახალისების მექანიზმი (მაგ. წლის აღმზრდელი, შიდა დაჯილდოებები, საჯარო მადლობები). • თანამშრომლების 70%-ზე მეტი დადებითად შეაფასებს სამუშაო გარემოსა და მხარდაჭერის ხარისხს. • პერსონალს ექნება პროფესიული განვითარების პერსპექტივა – დასახული აქვთ ინდივიდუალური მიზნები და შესაძლებლობები.
3.1. მშობელთა ჩართულობის დონის ამაღლება საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესში.	• ბაღების 80%-ში წლიურად ჩატარდება მინიმუმ 2 ღია კარის დღე ან თემატური ღონისძიება მშობლებთან ერთად. • მშობელთა 70%-ზე მეტი მონაწილეობას მიიღებს ბაღის აქტივობებში ან მიიღებს რეგულარულ ინფორმაციას ბავშვების პროგრესზე. • ბავშვების ოჯახური გამოცდილება და მშობელთა იდეები გამოიყენებული იქნება სასწავლო თემების დაგეგმვაში.
3.2. თემში არსებული რესურსების საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრირების განვითარება.	• საბავშვო ბაღების მინიმუმ 70% მინიმუმ წელიწადში ერთხელ გამოიყენებს თემში არსებულ სივრცეებს ან სერვისებს (სკოლა, ბიბლიოთეკა, ამბულატორია, მუზეუმი). • ბავშვებს მიეცემათ შესაძლებლობა შეისწავლონ გარემო რეალურ კონტექსტში (საველე ვიზიტები, მასპინძლობა თემის წარმომადგენლების მიერ). • საგანმანათლებლო პროცესში ჩართული იქნება ადგილობრივი თემის წარმომადგენლები.

3.3. მშობელთა საკონსულტაციო საბჭოების ეფექტიანობის გაზრდა.	• ბაღების 100%-ში იფუნქციონირებს მშობელთა საკონსულტაციო საბჭო. • საბჭოები ჩაატარებენ შეხვედრებს და მიიღებენ მონაწილეობას ბაღის საჭიროებების განხილვასა და მხარდაჭერაში. • ბაღების ნახევარზე მეტში საბჭოს წევრები მიიღებენ მონაწილეობას რესურსების მოძიებასა და ღონისძიებების დაგეგმვაში.
3.4. ხარისხიანი ადრეული ინკლუზიური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლება.	• წელიწადში ერთხელ ტარდება საინფორმაციო შეხვედრა ან კამპანია ინკლუზიურობის თემაზე ყველა ბაღში. • მშობელთა 60%-ზე მეტი იცნობს ინკლუზიური განათლების პრინციპებს და მხარს უჭერს მრავალფეროვნებაზე დაფუძნებულ მიდგომებს. • ბაღების პერსონალი და თემის წარმომადგენლები თანაბრად იყენებენ ინკლუზიის ღირებულებებს კომუნიკაციაში და საქმიანობაში.
4.1. შიდა და გარე ინფრასტრუქტურის განახლება და ადაპტაცია სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის.	• საბავშვო ბაღების მინიმუმ 60%-ში განხორციელდება სივრცის განახლება და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება (პანდუსები, ტუალეტები, კარის სიგანეები და სხვ.). • ბაღების მინიმუმ ნახევარი იქნება ადაპტირებული სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების ფიზიკური გადაადგილებისა და ჩართულობისათვის. • ინფრასტრუქტურული განახლების შედეგად შემცირდება უსაფრთხოების რისკები და გაიზრდება მშობელთა კმაყოფილება.
4.2. საგანმანათლებლო რესურსების გამრავალფეროვნება და ხელმისაწვდომობის გაზრდა ყველა ბაღში.	• საგანმანათლებლო რესურსები მოიცავს მრავალფეროვან და ინკლუზიურ მასალებს, მათ შორის სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილს. • 90%-ზე მეტ ბაღში ბავშვებს ექნებათ თავისუფალი წვდომა მათთვის საჭირო და განვითარებაზე ორიენტირებულ მასალებზე.
4.3. ეზოების მოწყობა თამაშისა და აქტიური სწავლისთვის საჭირო პირობების შესაქმნელად.	• მინიმუმ 70% ბაღის ეზო გამოყენებული იქნება ფუნქციურ სივრცეებად, სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული თამაშებისთვის. • მოეწყობა საბავშვო მოედნები უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად.

	• ბაღების უმრავლესობაში თამაშისთვის განკუთვნილი გარე გარემო ხელს შეუწყობს ფიზიკური აქტივობის, კვლევის და გუნდური თამაშების განვითარებას.
4.4. ალტერნატიული ბაღების გაძლიერება და სერვისის ხელმისაწვდომობის გაზრდა მიუწვდომელ სოფლებში.	• ალტერნატიული ბაღების მინიმუმ 3 ერთეულში განხორციელდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება. • გაიზრდება ალტერნატიული ბაღების გავლით მომსახურებული ბავშვების რაოდენობა. • სერვისი ხელმისაწვდომი გახდება მუნიციპალიტეტის მინიმუმ 2 ახალ სოფელში, სადაც მანამდე ბაღი არ ფუნქციონირებდა.